ენერგიის იმპორტი საქართველოში
2021 წელი

ბუნებრივი გაზი

- 2021 წლის განმავლობაში საქართველომ რუსეთისგან და აზერბაიჯანისგან ჯამურად **2 595 მლნ. მ³** ბუნებრივი აირი შეიძინა.[1] იმპორტში ჯამურად გადახდილმა თანხამ აზერბაიჯანისთვის 250 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო რუსეთისთვის 71 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.
- ნავთობის გათხევადებული აირების (ეთანი, პროპანი, ბუტანი და სხვა) იმპორტის **92%** რუსული, დარჩენილი ნაწილი კი ყაზახური და აზერბაიჯანული საწვავით დაკმაყოფილდა. იმპორტში ჯამურად გადახდილმა თანხამ 21 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.[2]

ელექტროენერგია

- 2021 წლის განმავლობაში საქართველომ მეზობელი ქვეყნებისგან **2 006 გიგავატსაათი** ელექტროენერგია შეიძინა. ელექტროენერგიის ძირითადი მომწოდებელი რუსეთი იყო 62%-იანი წილით, თუმცა რუსული იმპორტული ელექტროენერგიის 80%-ით აფხაზეთი მომარაგდა. საქართველოს, აფხაზეთის გარეშე, **1 013 გიგავატსაათი** ელექტროენერგიის იმპორტი დასჭირდა, ენერგიის 60%-მდე მომწოდებელი კი აზერბაიჯანი იყო.[3]
- აზერბაიჯანისთვის ელექტროენერგიის იმპორტში გადახდილმა თანხამ **29 მლნ. აშშ დოლარი** შეადგინა. ელექტროენერგიის დანარჩენი ნაწილი შეივსო რუსული და თურქული ენერგიის იმპორტით, რომლისთვისაც რუსეთმა **12 მლნ.-მდე აშშ დოლარი**, ხოლო თურქეთმა **7** მლნ.-მდე აშშ დოლარი მიიღო.[2]

იმპორტული ენერგიის ღირებულება, მლნ. აშშ დოლარი



1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
3. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი

ნავთობი და ნავთობპროდუქტები

- 2021 წელს საქართველომ სავაჭრო პარტნიორებისგან **822 მლნ. აშშ დოლარის** ღირებულების **1 272 216 ტონა** ნავთობი და ნავთობპროდუქტები შეიძინა. ძირითად სავაჭრო პარტნიორებს თურქმენეთი (24%), რუსეთი (18%), აზერბაიჯანი (18%), რუმინეთი (16%) და ბულგარეთი (13%) წარმოადგენდნენ.
- საიმპორტო ნაკადები დივერსიფიცირებულია როგორც სავაჭრო პარტნიორების, ისე, ტრანსპორტირების სახეების (საზღვაო და სარკინიგზო) მიხედვით.[2]

ქვანახშირი

- ქვანახშირის და მისგან წარმოებული პროდუქტების იმპორტში საქართველომ 2021 წელს **66 მლნ. აშშ დოლარი** გადაიხადა. მთავარ სავაჭრო პარტნიორებს რუსეთი (63%), რუმინეთი (12%), და სინგაპური (8%) წარმოადგენდნენ. იმპორტის მოცულობამ 250 ათასი ტონა შეადგინა.
- 2021 წელს ადგილობრივად **148 ათასი ტონა** ქვანახშირი იქნა წარმოებული.[2]

ირაკლი ურგებაშვილი
მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG)
i.urgebashvili@weg.ge
+995 32 2 10 24 52